

**საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების  
შეტანისა და გაუქმების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი (შემდგომ ტექსტში - „წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) წესდების საფუძველზე და არეგულირებს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხებს.

**მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა**

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დროს უნდა განხორციელდეს:

1. პროგრამის ზოგადი მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია;
2. ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგების შესწავლა;
3. კვლევა
  - 3.1. პროგრამის საჭიროების დადგენა აბიტურიენტთა მოთხოვნების და ჩარიცხვის მაჩვენებლების ანალიზის მიხედვით;
  - 3.2. დასაქმების ბაზრის ანალიზი ან/და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა;
  - 3.3. დასაქმების სფეროს/სავარაუდო პოზიციების განსაზღვრა;
4. სავარაუდო ბიუჯეტის განსაზღვრა.

**მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

1. მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე იქმნება პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ა) პროგრამის სახელწოდებას;
- ბ) მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- გ) სწავლების საფეხურს;
- დ) პროგრამის მოცულობას ECTS კრედიტებში;
- ე) სწავლების ენას;
- ვ) პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ პროგრამაზე დაშვების პირობებს, რაშიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ცოდნა და უნარები, რომლებიც უნდა გააჩნდეს აპლიკანტს შეთავაზებულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების

მიზნით;

თ) პროგრამის მიზნებს, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, უნდა იყოს მიღწევადი და ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე, პროგრამის მიზნები და დანიშნულება კარგად უნდა იყოს აღწერილი;

ი) პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით შესაბამისი საფეხურის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს და უნდა მოიცავდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს როგორც დარგობრივ, ასევე ზოგად კომპეტენციებს;

კ) დასაქმების სფეროს;

ლ) სასწავლო გეგმას, რომელშიც უნდა განისაზღვროს პროგრამის სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები, პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, ლოგიკურად განსაზღვრული სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობითა და სწავლების შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებით, სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები სასწავლო წლების/სემესტრები (ტრიმესტრების) მიხედვით განაწილებით;

მ) პროგრამის და მისი შემადგენელი კომპონენტების მოცულობას ECTS ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის მიხედვით, რაც გულისხმობს, იმას, რომ ხსენებული უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და სასწავლო პროგრამის სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე უნდა დგინდებოდეს 1 კრედიტის საშუალო მოცულობა ასტრონომიულ საათებში, ხოლო კრედიტების განაწილება განხორციელებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.), რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას;

ნ) სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, რაც უნდა შეირჩეს სასწავლო კომპონენტის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად და მისი შესაძლო ფორმებია: ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, სემინარი, სასწავლო/ სამეცნიერო/შემოქმედებითი პრაქტიკა და სხვ. თითოეული შერჩეული ფორმის ფარგლებში შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა აქტივობის გამოყენება სასწავლო კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე, როგორცაა -

ნ.ა) რელევანტური მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;

ნ.ბ) ლიტერატურის მიმოხილვა;

ნ.გ) მიმდინარე საჭიროებისათვის ყველაზე უფრო რელევანტური წასაკითხი მასალის შეჯამება;

ნ.დ) პრობლემების განსაზღვრა და ასევე მათი გადაჭრა;

ნ.ე) მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება;

ნ.ვ) ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;

- ნ.ზ) პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
  - ნ.თ) კვლევა და სტატიების, ანგარიშების, სამაგისტრო თემის წერა (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
  - ნ.ი) სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა პრობლემის გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის მომზადების მიზნით;
  - ნ.კ) ზეპირი პრეზენტაციების მომზადება და გატარება ინდივიდუალურად და ჯგუფურად;
  - ნ.ლ) სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება;
  - ნ.მ) შეხვედრებში (ან სემინარებში) მონაწილეობა და მათი გაძღოლა;
  - ნ.ნ) ჯგუფის გაძღოლა ან მისი ეფექტური წევრობა;
  - ნ.ო) მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით სხვებთან მონაცემების შესახებ კომუნიკაცია;
  - ნ.პ) საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება.
  - ნ.რ) და ა.შ.
- ო) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას;
- პ) სასწავლო კურსის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე შესაბამისი პერიოდულობით განსახორციელებელ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს სასწავლო კურსის სილაბუსში მათ დეტალურ გაწერას. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა უზრუნველყოფდეს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და რაც უნდა დასტურდებოდეს შეფასების შედეგებით. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისი წონების გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს შესაბამისი;
- ჟ) პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსებს, რომელთა სტრუქტურაში ერთიანდება სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები, სასწავლო კურსის მოცულობა ECTS კრედიტებში და საათებში, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შედეგები, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, თითოეული ლექციის მოკლე აღწერა და სასწავლო მასალა, რაც უნდა ეფუძნებოდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
- რ) სწავლის შედეგების რუკას, ცხრილს, სადაც უნდა იყოს ასახული თითოეული სწავლის შედეგი რომელი საგანმანათლებლო კომპონენტის (სასწავლო კურსები, საბაკალავრო ან/და სამაგისტრო ნაშრომები და ა.შ.) ფარგლებში გამომუშავდება.
- ს) ინფორმაციას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- ტ) ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების შესახებ;
2. პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ, ასევე პროგრამის შემუშავებაში უნდა იყვნენ ჩართულები სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები;
3. პროგრამის შემუშავების შემდეგ უნდა მოხდეს მისი დაზუსტება, პირველ პუნქტში მოყვანილი თითოეული მოთხოვნის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი

ცვლილებების შეტანა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მის მომზადებას დასამტკიცებლად.

#### **მუხლი 4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება**

1. ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავების ინიციატორი შეიძლება იყოს სკოლა.
2. შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას სკოლის დეკანი განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს პროგრამას, რამდენად შეესაბამება ის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და შესაბამის დასკვნას უბრუნებს სკოლას.
4. საგანმანათლებლო პროგრამას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას სკოლის დეკანი განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს.
5. სკოლის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.
6. საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

#### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა**

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი.
2. პროგრამაში ცვლილების ინიციატივა შედის კანცელარიაში წერილობით.
3. წერილს განიხილავს სკოლის დეკანი და პროგრამაში შესატანი ცვლილების განსახილველად მოიწვევს სკოლის საბჭოს სხდომას.
4. სკოლის საბჭო განიხილავს და პროგრამაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ცვლილებას დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.
5. პროგრამაში ცვლილების შეტანა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

#### **მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილება / გაუქმება**

1. საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიმარტება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
2. საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილებების/გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტისთვის არსებითია სტუდენტთა პროგრამის შესაბამისი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
3. პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და მნიშვნელოვანად შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური

- საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
4. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას.
  5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:
    - ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არცერთი სტუდენტი;
    - ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
    - გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელება არ შეესაბამება სასწავლებლის მისიას;
    - დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი**

1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.